



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

დეკლარაცია თვის პროგნოზი

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ



ინფლაცია

ნოემბერში, წლიური ინფლაციის ცემპმა გასულ თვესთან შედარებით დაიკლო და 4.8% შეადგინა, ხოლო თვის ინფლაცია 0.4%-ს გაუცოლდა. წელს წლიურ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით დიდწილად სურსათის ფასები მოქმედებს. ნოემბრის ინფლაციაში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წვლილი 3.5 პპ (პროცენტული პუნქტი) იყო. ამ ჯგუფის წონა საქართველოს სამომხმარებლო კალათაში დიდია (34.5%) და შესაბამისად, მისი ფასების ცვლილების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია. სურსათის ფასებს, სეზონურობის და კლიმატური პირობების ცვალებადობის გამო, დიდი მერყეობა ახასიათებს. გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო და აქედან გამომდინარე, წელს, სურსათის ინფლაციის ზრდა ნაწილობრივ საბაზო ეფექტს უკავშირდება. ამავდროულად, საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულზე ფასების მატება¹, ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, სურსათის ინფლაციას დამატებით ზრდის.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მათალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მიმდინარე წელს სტაბილურია. ნოემბერში საბაზო ინფლაციამ 2.3% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია 0.4% (მნიშვნელოვანი წვლილები)

წლიური ინფლაცია 4.8% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები



ნოემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში აღსანიშნავი იყო ზოგიერთი სურსათისთვის (მანდარინი, კივი, ყველი, პომიდორი) დამახასიათებელი სეზონური მერყეობა, როგორც ფასების ზრდის, ასევე კლების მიმართულებით. პურის და ზეთის გაძვირებამ თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა. ამ უკანასკნელის გაძვირება მსოფლიო ბაზარზე ბოლო თვეებში მზესუმზირის ზეთის გაძვირებას უკავშირდება.

წლიურ ჭრილში, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები გასული წლის ნოემბერთან შედარებით 10.3%-ით გაძვირდა, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.5 პპ შეადგინა. აქედან პურის წვლილი 0.9 პპ იყო. ზეთის, ყველის, კარტოფილის და შოკოლადის გაძვირებაზე დამატებით ჯამში 1.2 პპ მოდიოდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 8.0%-იანი ინფლაცია, რამაც ინფლაცია 0.7 პპ-ით გაზარდა.

ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის გადასახადი მოქმედებდა² (-0.12 პპ).

მთლიანი და საბაზო ინფლაცია

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.4% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას დიდწილად პურისა და ყველის ფასების ზრდა განაპირობებს. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მიზნობრივზე დაბალ დონეზე ნარჩუნდება და ნოემბერში 2.6%-ს გაუცოლდა.

¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>


² ამ შემთხვევაში ინტერნეტის გათვალისწინებული გაუმჯობესებას გულისხმობს.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 5.8% იყო. აქ ყველაზე დიდი წვლილი ზეთს, კარცოფილსა და შოკოლადს აქვს. იმპორტირებულმა ინფლაციამ 0.8% შეადგინა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	ნოვ25/ოქტ25		ნოვ25/ნოვ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.4%	0.4%	4.8%	4.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	0.9%	0.3%	10.3%	3.5%
სურსათი	31.7%	1.0%	0.3%	10.3%	3.3%
პური და პურპროდუქტები	6.9%	1.9%	0.1%	13.6%	0.9%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.2%	0.1%	6.5%	0.5%
თევზი	0.5%	1.4%	0.0%	15.5%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	1.4%	0.1%	8.5%	0.5%
ზეთი და ცხიმი	2.9%	4.2%	0.1%	14.9%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	-6.8%	-0.1%	16.9%	0.3%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	3.8%	0.1%	5.1%	0.1%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	-1.5%	0.0%	11.6%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-1.0%	0.0%	2.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.3%	0.0%	9.7%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	-0.3%	0.0%	4.4%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	-0.4%	0.0%	0.0%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	0.2%	0.0%	0.3%	0.0%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.9%	0.0%	-1.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.0%	0.0%	8.0%	0.7%
ტრანსპორტი	10.9%	-0.4%	0.0%	0.3%	0.0%
კავშირგაბმულობა	3.2%	0.0%	0.0%	-4.0%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	0.1%	0.0%	-1.5%	-0.1%
განათლება	5.4%	0.2%	0.0%	2.3%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	-0.6%	0.0%	7.2%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	1.8%	0.1%	5.3%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	60.8%	0.7%	0.5%	6.9%	4.2%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	8.1%	-0.5%	0.0%	-0.7%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.2%	0.0%	0.0%	-0.2%	0.0%
მომსახურება	25.9%	-0.1%	0.0%	2.6%	0.7%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ოქტომბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 8.1 მლრდ ლარით, 14.0%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 13.9%-ით გაიზარდა) და 65.6 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრიულში კი 0.01 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.3 მლრდ ლარით (0.9%-ით) გაიზარდა და 33.6 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მეცნილად, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდის ასახვაა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, ამ შემთხვევაშიც, წინა თვესთან შედარებით, 0.3 მლრდ ლარის კლება (0.9%-ით) დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში, მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 5.7%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად შენარჩუნდა 7.4%-ზე. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 1.8%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარისა და დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ერთნაირად შემცირდა, 0.2 პპ-ით და შესაბამისად, 10.8%-სა და 2.6%-ს შეადგენს. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 1.4%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის პარაშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია ოქტომბერში 0.5 პპ-ში შემცირდა და 48.8% შეადგინა. ოქტომბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 63.5%-მდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 1.0 პპ-ით შემცირდა და 39.8%-ს შეადგენს. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით, 58.7%-მდე, შემცირდა.

**დემოგრაფიის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დემოგრაფიის დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.6 პპ-ით შემცირდა და წლიურმა მაჩვენებელმა 12.7% შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, ეროვნული ვალუტის დაკრედიცების ზრდის ტემპის კლებაზე განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიცების წლიური ზრდის ტემპი წინა თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით 1.3 პპ-ით შემცირდა და 15.8% შეადგინა, თუმცა უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი გაიზარდა 0.2 პპ-ით 8.7%-მდე. მთლიანი სესხების ზრდაში კი 9.0 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 3.7 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიცებამ შეიტანა. მიზნობრიობის ქრილში, დაკრედიცების ზრდის ტემპის კლება, დიდწილად, ბიზნესის ციკლის სესხებით აიხსნება, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 0.6 პპ-ით შემცირდა.

**სასხების წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სასხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით შემცირდა და 13.6% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით შემცირდა და 9.1%-ს გაუდოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 15.7%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.7 პპ-ით შემცირდა და 13.3% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 12.4%-მდე, შემცირდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.4%-მდე, შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით, 7.9%-მდე შემცირდა.


ოქტომბერში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.2 პპ-ით შემცირდა და 42.0%-ის დონეზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 63.7% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით შემცირდა და 23.1% შეადგინა. ოქტომბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 50.0 მლნ ლარით გაიზარდა და 627.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.7% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (პურსის აფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი

ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 5.9%-ით გაუმჯობესდა და 775.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 3.1%-ით შემცირდა 1.46 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 0.4%-ით გაიზარდა და 684.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კონტრიბუციამ ოქტომბერში 6.7 პპ შეადგინა.


იანვარ-ოქტომბერში იმპორტი ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით³, წლიურად 5.6%-ით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი მოხმარების იმპორტი კი - 4.7%-ით. იმავე პერიოდში, მთლიანი ექსპორტის ზრდამ 6.8%, ხოლო ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ 4.6% შეადგინა. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს (ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით), ამავე პერიოდში 4.8%-ით გაუარესდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ოქტომბერი 2025)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - ოქტომბერში საქონლის იმპორტი წლიურ წრეში 3.1%-ით შემცირდა. შემცირების მიმართულებით ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტი მოქმედებდა, -3.7 პპ წვლილით. ასევე შემცირებულია საინვესტიციო საქონლის იმპორტიც -1.1 პპ კონტრიბუციით. ხოლო შუალედური მოხმარების საქონლის კონტრიბუციამ პოზიტიური 1.7 პპ შეადგინა.


სამომხმარებლო საქონლიდან იმპორტის კლესაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-7.2 პპ კონტრიბუციით), ხოლო ნავთობპროდუქტებისა და საკვები პროდუქტების იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლესაში წამყვანი სატრანსპორტო საშუალებები იყო. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდაში კი წამყვანი იყო ნედლი ნავთობი.

³ იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



ქვეყნების ჯგუფის წრილში, ოქტომბრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილმა -2.1 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც უმეტესად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 24.1%-დან 20.4%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი.


ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა აშშ-დან, გერმანიიდან და იაპონიიდან (მსუბუქი ავტომობილები), ასევე სომხეთიდან. ხოლო ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთს ჰქონდა.

ჩინეთიდან იმპორტი გაზრდილია ძირითადად საინვესტიციო პროდუქციის ხარჯზე. ასევე, გაზრდილია რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები, ძირითადად ნედლი ნავთობის ხარჯზე, ხოლო არმადურის, ნავთობპროდუქტებისა და ელექტროენერგიის იმპორტი შემცირებულია.


აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 76.8% მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, ოქტომბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდათ.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ოქტომბერი 2025)



საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




ექსპორტი - ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 0.4%-ით გაიზარდა და 684.5 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო სამომხმარებლო საქონლის (11.4 პპ კონტრიბუციით) ექსპორტის ზრდით. თუმცა, შემცირებულია შუალედური მოხმარებისა (-10.8 პპ კონტრიბუციით) და საინვესტიციო საქონლის (-0.2 პპ კონტრიბუციით) ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიტიური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა შეიძინა. ასევე გაზრდილია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის, ღვინისა და თხილის ექსპორტი.


შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან შემცირებული იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნების, ფეროშენადნობებისა და მინერალური სასუქების ექსპორტი.

საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებასთან.

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ოქტომბერი 2025)



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის ქრილში, ოქტომბერში ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 1.1 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ფეროშენადნობების, ნავთობპროდუქტებისა და თხილის ექსპორტის ზრდას უკავშირდება. საპირისპიროდ, შემცირებულია ძვირფასი ლითონებისა და სპილენძის მადნების ექსპორტი.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საექსპორტო შემოსავლები გაიზარდა ცაჯიკეთიდან და ყირგიზეთიდან, რაც ძირითადად, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის ზრდით იყო გამოწვეული. ასევე გაზრდილია ექსპორტი ნიდერლანდებსა და რუსეთში. საპირისპიროდ, ექსპორტი შემცირდა თურქეთში, ფეროშენადნობების ექსპორტის შემცირების შედეგად.

რუსეთში გაზრდილი ექსპორტი ძირითადად ღვინოსა და სოფლის მეურნეობის ნაწარმს უკავშირდებოდა. ხოლო მინერალური წყლების ექსპორტი კლების მიმართულებით მოქმედებდა.

ჩინეთიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების ზრდა ძირითადად ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტს უკავშირდება.


ოქცომბრის საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (41.4%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია თხილის, ღვინისა და ლიმონათების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - ოქცომბერში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 13.4%-ით, 318.7 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 14.5%-ით, 40.8 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (6.6 პპ) შეიჭრანა წლიური 15.0%-იანი ზრდით. 16.5%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 3.0 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი ოქცომბერში 2.5 პპ-ს გაუცოლდა.


ოქტომბერში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.9%), აშშ (18.6%) და რუსეთი (13.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.7%), გერმანიისა (9.3%) და საბერძნეთის (8.1%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში
(ოქტომბერი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი გზავნილების ზრდა
(წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7067-დან 2.7160-მდე (0.3%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1740-დან 3.1640-მდე (0.3%) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7139 და 3.1514 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7263 იყო, მინიმალური კი - 2.7076.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურთან შედარებით მეტად იყო გადახრილი.


ოქტომბერში საშუალოდ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნადაა გაუფასურებული თურქული ლირა, სახეზეა ევროს და ლარის გაუფასურებაც. როგორც თვის, ისე წლის წრილში გამყარებულია რუსული რუბლი. მცირე გამყარებით ხასიათდებოდა სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების⁴ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (ოქტომბერი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი⁵ (REER) წლიურად 3.6%-ით, თვის წრილში კი 0.4%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), წლიურად 0.2%-ით, თვის წრილში კი 0.3%-ით გაუფასურდა.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან ოქტომბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთსა და ევროზონაში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

4 წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>


5 წინასწარი მონაცემები, აშშ საშემხმარებლო დანახვის ინდექსის გამოქვეყნების დაგეგმიური თარიღების გამო (იხ. <https://www.bls.gov/bls/2025-lapse-revised-release-dates.htm>).

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ოქტომბერი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6⁶ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვის წრილში გაზრდილია, ხოლო წლიურად შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 274.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 70.1 მლნ აშშ დოლარით მეტი, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით კი - 461.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 8.6%-ით, წლიურად კი 37.6%-ით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁷ გარიგებებით ხდებოდა (98.5%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,665.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 377.6 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული, ხოლო თვის წრილში 209.9 მლნ აშშ დოლარით გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 4.6% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 167.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁶ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.

⁷ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება, თვითრად გაზრდილია, ხოლო წლიურად შემცირებული.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 134.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრიულში 108.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,887.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 243.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრიულში 101.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,778.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე მოდიოდა.


ოქტომბერში სავალუტო ფორვარდ⁸ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 17.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრიულში - 3.7 მლნ აშშ დოლარით) და 57.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე, ხოლო მცირე შინამეურნეოებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 19.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 175.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 5.6 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁸ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯმენტისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ოქტომბერში სადეპოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20-20 მლნ ლარის ორი სადეპოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატების ნაშთი შემცირდა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


ოქტომბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 245.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ოქტომბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 65 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 168.8 მლნ ლარით გაიზარდა და 10,911.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 72.6%-ს კომერციული ბანკების, 11.5%-ს ეროვნული ბანკის, 14.2%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.6%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში სადეპოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ასევე, მეტწილად გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებზე, 3-წლიანის შემთხვევაში შემცირება, ხოლო 5-წლიანზე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შენობილი საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 7.9%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად, 7.4%-ზე შენარჩუნდა. ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.3 პპ-ით გაიზარდა და 7.7% შეადგინა. 3-წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, 0.1 პპ-ით, 9.0%-მდე. ხოლო 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით გაიზარდა, და 9.4% შეადგინა. 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად 9.8%-ზე შენარჩუნდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვითონ 3,059.3 მლნ ლარით (წლიურად 3,665.5 მლნ ლარით) 25,432.0 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (78.2%), რომლის მოცულობაც თვითონ 2,818.8 მლნ ლარით (16.5%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვითონ 240.5 მლნ ლარით (4.5%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის ქრილში 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.6% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთიც 0.3 პპ-ით, 1.8%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში ფულადი ბაზრის რესურსის 31.3% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 68.3% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგატები

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 199.3 მლნ ლარით (2.4%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.1 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 172.4 მლნ ლარით (2.1%-ით) გაიზარდა.

ოქტომბერში, სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 167.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 69.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 98.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


ოქტომბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 157.3 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 975.8 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, ნაღდი ფულზე მოთხოვნა 48.5 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხების მოცულობამ, წინა თვესთან შედარებით, 160.0 მლნ ლარით მოიკლო. ერთდროინი სესხის ნაშთი კი 79.8 მლნ ლარით შემცირდა. ოქტომბერში დაიფარა 40.0 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდი და განთავსდა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, ოქტომბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 219.8 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 5,441.0 მლნ ლარს გაუცოლდა.


ოქტომბერში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვითრად 0.1 მლრდ ლარით შემცირდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 0.3 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

